არის 2 ქულა!

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს, რომლებიც მომავალ ოთხშაბათს ევროპის ტურნირებში გამოდიან, გუშინ მორიგი კალენდარული მატჩები ჰქონდათ.

თბილისის დინამოელებმა ვოროშილოვგრადში ითამაშეს ადგილობრივ "ზარიასთან".

შეხვედრის პირველი ნახევარი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, რაც მალიშენკოს მიერ 34–ე წუთზე გატანილი ბურთით გამოიხატა. თბილისის დინამოელებმა მშვენივრად ჩაატარეს მატჩის მეორე ნახევარი. ჯერ დარასელიამ 76–ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში, ხოლო სამი წუთის შემდეგ გუცაევმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი – 2:1. თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე კვლავ დარასელიამ გამოიჩინა თავი – მესამე ბურთი მოათავსა მასპინძელთა კარში. 3:1 – ასე დამთავრდა ეს შეხვედრა, რომელმაც დინამოელებს ერთობ საჭირო ორი ქულა შესძინა.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გაბელია, მუჯირი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კაკილაშვილი), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (კოპალეიშვილი).

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრაშიც იმარჯვეს თბილისელებმა – 3:2. დინამოელთაგან გოლები გაიტანეს ბოლქვაძემ (2) და ჯობაძემ.

"ლელო", 21 ოქტომბერი, 1979 წ.